ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ *(პროექტი)*

№ T-

ქ. თბილისი ____ წელი

ერთი მხრივ, **შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“** (ს/კ: 412670097) (შემდგომ-ში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ____ სახით და მეორე მხრივ, ____ (ს/კ: ____) (შემდგომში - ,,მიმწოდებელი“) წარმოდგენილის მისი ____ სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე, ____ ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში - „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამშენებლო სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **ქალაქ ონში „ჟიჟორეთის“ სათავე ნაგებობიდან მომავალი მაგისტრალური წყალდენის დაახლოებით 350 მეტრიანი მონაკვეთის ნაპირსამაგრი კონსტრუქციების სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად საჭირო მომსახურებისა და შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების (CPV 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები; CPV-45246200 - მდინარის ნაპირის დამცავი სამუშაოების წარმოება)** სახელმწიფო შესყიდვა.

2.2. შესასრულებელი სამუშაოს ზუსტი აღწერა მოცემულია დანართ N1-ში (ხარჯთაღრიცხვა) და ტექნიკურ დავალებაში, რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ____ (____) ლარს, დღგ-ს გათვალისწინებით.

3.2. ხელშეკრულების ზუსტი ღირებულება გამოითვლება ფაქტიური შესრულებების მიხედვით.

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს (მათ შორის ექსპერტიზის ხარჯებს) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.4. ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

3.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფასის 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ფასის გაზრდა გამოწვეულია სამუშაოთა მოცულობის გაზრდის გამო, გამოყენებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით (ხარჯთაღრიცხვა) გათვალისწინებული ერთეულის ფასები, ხოლო თუ აუცილებელი გახდა ხელშეკრულების დანართი N1-ით (ხარჯთაღრიცხვა) გაუთვალისწინებელი სამუშაოს დამატების გამო ცვლილების განხორციელება ასეთ შემთხვევაში ერთეულის ფასის დაანგარიშება უნდა განხორციელდეს ცვლილების განხორციელების პერიოდისათვის საბაზრო ფასის მიხედვით.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

4.2. დაფინანსების წყარო: 2020/2021 წლის საკუთარი სახსრებით.

4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი ეტაპების მიხედვით:

I ეტაპი - საპროექტო მომსახურების ანგარიშსწორება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებულ პირის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, და შიდა საპროექტო სამსახურის მიერ დადასტურებული მიღება-ჩაბარების აქტით და ელექტრონული საგადასახადო ანგარიშფაქტურის მიმწოდებლის მიერ წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღეში, შესრულებული სამუშაოს ღირებულების 10%-ის დაკავებით.

II ეტაპი - ეტაპობრივად, მიმწოდებლისა და შემსყიდველის უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილი და ხელმოწერილი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა 2), შესრულებითი ნახაზების (ელექტრონული ვერსია) და ელექტრონული საგადასახადო ანგარიშფაქტურის მიმწოდებლის მიერ წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღეში, შესრულებული სამუშაოს ღირებულების 10%-ის დაკავებით;

III ეტაპი - სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშსწორებისთვის საჭირო სხვა დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა, ექსპერტიზის დასკვნა) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5%-ის დაკავებით;

IV ეტაპი - შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5%-ის დაკავების შემთხვევაში - დანარჩენი ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5% საგარანტიო ვადის გასვლის შემდგომ მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში (წერილობით მოთხოვნას თან უნდა ახლდეს შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირის დასტური მასზედ, რომ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოს არ გამოუვლენია დეფექტი ან და გამოვლენილი დეფექტი სრულად აღმოფხვრილია მიმწოდებლის მიერ).

4.4. მიმწოდებლის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში „შემსყიდველი“ ავანსის სახით გადაუხდის „მიმწოდებელს“ საპროექტო მომსახურების შესრულებისათვის საპროექტო ღირებულების არაუმეტეს 20%-ს, ასევე, სამშენებლო სამუშაოების შესრულებისათვის სამშენებლო სამუშაოების ღირებულების არაუმეტეს 20%-ს, იმავე თანხაზე საბანკო გარანტიის (გაცემული საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულების, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის ან საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული საკრედიტო დაწესებულების მიერ, რომელიც უფლებამოსილია გასცეს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო,გამოუთხოვადი საბანკო გარანტია) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში (ავანსის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას). ავანსის სახით მიღებული თანხის გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ავანსის ჩარიცხვიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღის განმავლობაში.

არამიზნობრივად დახარჯვის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია გამოითხოვოს საბანკო (საავანსო) გარანტიით განსაზღვრული თანხა, მიმწოდებლის მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე უფლებამოსილია გამოითხოვოს საბანკო (საავანსო) გარანტიით განსაზღვრული თანხა.

შენიშვნა: საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკრედიტო დაწესებულების ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ვალდებულია ასევე წარმოადგინოს საბანკო გარანტიის გამცემი კომპანიის ძალაში მყოფი ლიცენზია ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება საბანკო გარანტიის გაცემის უფლებამოსილება - წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს წარმოდგენილი საბანკო გარანტია.

4.5. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, ავანსის პროპორციული დაქვითვა მოხდება ეტაპობრივად, თითოეული სამუშაოს აქტის (ფორმა 2) წარმოდგენის შემდეგ. ამასთან, ბოლო შესრულებული სამუშაოს აქტის (ფორმა 2) წარმოდგენის შემდეგ მიმწოდებელს დაექვითება ავანსის თანხის დარჩენილი ნაწილი სრულად.

4.6. მიმწოდებლის მიერ წარმოსადგენი ექსპერტიზის დასკვნის ღირებულება გათვალისწინებულია ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებაში.

4.7. 4.3 პუნქტის III ეტაპით გათვალისწინებული ანგარიშსწორებისათვის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სსიპ ,,აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ აღნიშნულ სფეროში აკრედიტებული სხვა საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული დადებითი დასკვნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესახებ. ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შესრულებითი ნახაზების ელექტრონული ვერსია SHP ფორმატში, მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად. ასევე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა (მათ შორის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 აგვისტოს N 388 დადგენილებით დამტკიცებული ,,მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულებისა და დოკუმენტირების წესის“) და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი, მოწყობილი ან/და რეაბილიტირებული ქსელის - ხაზობრივი ნაგებობის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზები (ციფრულ და ქაღალდის ვერსიების სახით), სადაც დაინტერესებულ პირად უნდა იქნას მითითებული - შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. მიმწოდებელმა ასევე, უნდა წარმოადგინოს ელექტრონული საგადასახადო ანგარიშფაქტურა. ხარჯთაღრიცხვაში ასახული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯების ანაზღაურება განხორციელდება მხოლოდ ასეთი ხარჯების არსებობის შემთხვევაში. გაუთვალისწინებელი ხარჯების არსებობისას მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ასეთი ხარჯების დეტალური გაშიფვრა და დასაბუთება, რომლის საფუძველზეც მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ განხორციელდება შესასრულებელი სამუშაოების განხორცილების დადასტურება.

4.8. გაუთვალისწინებლი სამუშაოების გაწევის უფლება მიმწოდებელს ეძლევა შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირის თანხმობის შემთხვევაში და 4.7 პუნქტში აღნიშნული წესის თანახმად გაუთვალისწინებელი ხარჯების ხარჯთაღრიცხვაში გაშიფვრის და დასაბუთების შესაბამისად.

4.9. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს 4.3 პუნქტით გათვალისწინებული ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის ანაზღაურება სსიპ - საქართველოს ეროვნული ბანკის ან სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ან სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ დაკავებული თანხის იდენტური ოდენობის გარანტიის წარდგენის საფუძველზე. გარანტია უნდა იყოს უპირობო, გამოუხმობადი და შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გამცემისგან, პირველივე მოთხოვნისთანავე, მიიღოს შესაბამისი თანხა. გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის დაბრუნების ვადას არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი სამუშაოების მიმდინარეობაზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

5.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

5.2.1. სამუშაოს მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

5.2.2. შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და მოცულობის ხელშეკრულების დანართებთან (ხარჯთაღრიცხვა, კალენდარული გრაფიკი, ტექნიკური პირობები, ნახაზები და სპეციფიკაციები) შესაბამისობის დადგენა, შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა (აუცილებლობის შემთხვევაში);

5.2.3. ფარული სამუშაოების კონტროლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მიწოდებული სამუშაოების წინამდებარე ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვასთან (დანართი N1) ურთიერთშედარება და მათ საფუძველზე მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოების ან მისი ნაწილის მოცულობისა და ღირებულების დადგენა, ფორმა 2-ების დამოწმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება;

5.2.4. ტექნიკური დავალების დანართებით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

5.2.5. მიმწოდებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პროფესიული კომპეტენციის შესაბამისობის დადგენა განსახორციელებელ სამუშაოებთან მიმართებაში.

5.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ უფლებამოსილი წარმომადგენლები (საპროექტო დეპარტამენტის ____ და მშენებლობის ზედამხდველობის დეპარტამენტის ____).

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5.6. მიმწოდებელი ვალდებულია პროექტის ჩაბარების დღიდან ეტაპობრივად მოახდინოს ტექნიკური დოკუმენტაციის (სამშენებლო მასალების სერტიფიკატები) შეთანხმება და სამშენებლო სამუშაოების დაწყება.

6. შესყიდვის ობიექტის პირობები, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

6.1. სამუშაოების შესრულების ადგილი: ქალაქ ონში„ჟიჟორეთის“ სათავე ნაგებობა;

6.2. სამუშაოები შესრულებული უნდა იქნას თანდართული ტექნიკური დავალების, წარმოდგენილი პროექტის, სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკის და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

6.3. სამუშაოები შესრულებულ უნდა იქნას გეგმა-გრაფიკის მიხედვით. საკვლევ-საძიებო და დეტალური პროექტის მომზადების ვადაა ____.

ხოლო, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ვადაა ____.

6.4. კონტრაქტორი ვალდებულია, შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით, წარმოადგინოს შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია ტექნიკური დავალებით განსაზღვრული ეტაპების მიხედვით.

დამკვეთი იტოვებს უფლებას 10 სამუშაო დღის ვადაში გასცეს შენიშვნები და კომენტარები წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე. მიმწოდებელი ვალდებულია სრულად გაითვალისწინოს დამკვეთის შენიშვნები და შესაბამისად ასახოს საპროექტო დოკუმენტაციაში. დამკვეთის მხრიდან თითოეული ეტაპის საპროექტო დოკუმენტაციის განხილვისთვის საჭირო დრო (10 სამუშაო დღე) შედის საპროექტო სამუშაოების განხორციელების საერთო ვადაში (__ თვე).

6.5. საბოლოო ანგარიშები წარმოდგენილ უნდა იქნას როგორც ელექტრონულ ისე ბეჭდური ვერსიების სახით; 5 ქართული. ტექსტური ნაწილი და ნახაზები წარმოდგენილი უნდა იქნას როგორც PDF ფორმატში ისე ორიგინალი პროგრამის ფორმატში.

6.6. დეტალურ პროექტს და სახარჯთაღრიცხვო ნაწილს ჩაუტარდეს ექსპერტიზა გაცემული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექპერტიზის ეროვნული ბიუროს ან ამ სფეროში აკრედიტებული პირის მიერ (სხვა აკრედიტებული პირის მიერ ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში , მიმწოდებელმა დასკვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი).

6.7. საპროექტო მომსახურების მიღება განხორციელდება მიმწოდებლისა და შემსყიდველის უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილი და ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" საპროექტო დეპარტამენტის _____).

6.8. სამუშაოების მიღება განხორციელდება მიმწოდებლისა და შემსყიდველის უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილი და ხელმოწერილი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა 2) წარმოდგენის საფუძველზე, ხოლო საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტით.

6.9. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა 2) წარდგენის შემდგომ აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით.

6.10. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმართოს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ან სხვა აკრედიტებულ პირს ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით. (სხვა აკრედიტებული პირის მიერ ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში, მიმწოდებელმა დასკვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს აკრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტი).

6.11. ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შესრულებითი ნახაზების ელექტრონული ვერსია SHP ფორმატში, სატენდერო დოკუმენტაციაზე თანდართული ინსტრუქციის შესაბამისად.

6.12. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტს და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტს (ფორმა 2) ხელს მოაწერს შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" უფლებამოსილი წარმომადგენელი/წარმომადგენლები).____).

6.13. მიმწოდებელი ვალდებულია პროექტის ჩაბარების დღიდან ეტაპობრივად მოახდინოს ტექნიკური დოკუმენტაციის (სამშენებლო მასალების სერტიფიკატები) შეთანხმება და სამშენებლო სამუშაოების დაწყება.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით გამოცემული ზოგადი რეკომენდაციების დაცვა, აღნიშნული რეკომენდაციების მოქმედების პერიოდში.

7.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სამუშაოების შესრულება გეგმა- გრაფიკში განსაზღვრული ვადების დაცვით;
ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო სტანდარტების შესაბამისად;
გ) სამუშაოების შესრულება უზრუნველყოს ახალი (ექსპლუატაციაში არ მყოფი) მასალებით ხელშეკრულების პირობების დაცვით;
გ) სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმართოს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ან სხვა აკრედიტებულ პირს ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით. (სხვა აკრედიტებული პირის მიერ ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში, მიმწოდებელმა დასკვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს აკრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტი). ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შესრულებითი ნახაზების ელექტრონული ვერსია SHP ფორმატში, სატენდერო დოკუმენტაციაზე თანდართული ინსტრუქციის შესაბამისად.
7.6. სამუშაოები შესრულებულ უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დანართი N1 (ხარჯთაღრიხცვა), სამუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკის, სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალების, ასევე მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დეტალური ხარჯთაღრიცხვის და პროექტის შესაბამისად (პროექტს ითანხმებს და მიღება-ჩაბარების აქტით იბარებს შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" საპროექტო დეპარტამენტის ____).

8. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

8.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება ____ მიერ ____ წლის ____ გაცემული ____ უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტია თანხით ____ (____) ლარი, მოქმედი ____ წლის ____ ჩათვლით.
8.2. საბანკო გარანტია გამოიყენება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების ან/და მიმწოდებლის ქმედებით შემსყიდველისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით.
8.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაბრუნება.

9. საგარანტიო პირობები

9.1. მიმწოდებელის მხრიდან მის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ვრცელდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ____ საგარანტიო ვადა.
9.2. საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების/დაზიანებების აღმოფხვრა.
9.3. შემსყიდველის მიერ დაკავებული თანხა (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5%, შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5% დაკავების შემთხვევაში) წარმოადგენს მიმწოდებლის მხრიდან შესრულებული სამუშაოების გარანტიის ფინანსურ უზრუნველყოფას.
9.4. შემსყიდველი უფლებამოსილია არ დაუკაოს მიმწოდებელს აღნიშნული 2,5% იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი საბოლოო ანგარიშსწორების დროს წარმოადგენს დასაკავებელი თანხის ოდენობის საბანკო გარანტიას (გაცემულს საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულების, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის ან საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული საკრედიტო დაწესებულების მიერ,), გარანტია უნდა იყოს უპირობო, გამოუხმობადი და შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა აძლევდეს

უფლებას გარანტიის გამცემისგან, პირველივე მოთხოვნისთანავე, მიიღოს შესაბამისი თანხა. გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის დაბრუნების ვადას არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

9.5. თუ მიმწოდებელი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში უარს განაცხადებს საგარანტიო პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ამ ხელშეკრულების 4.3 პუნქტის IV-ეტაპით გათვალისწინებული თანხის გადახდაზე (2.5% ის დაკავების შემთხვევაში).

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მათ შორის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტის ოდენობით.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულე-ბისაგან.

10.5. ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო და პირგასამტეხლოს თანხები დაუკავდება მიმწოდებელს სამუშაოს ღირებულებიდან, იმ შემთხვევაში თუ სამუშაოს შესრულება არ არის განხორციელებული, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესაბამისი თანხა შემსყიდველის სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სამუშაოს ღირებულება ნაკლებია საჯარიმო თანხაზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შემსყიდველის სასარგებლოდ საჯარიმო თანხებსა და სამუშაოს ღირებულებას შორის არსებული სხვაობა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, შემსყიდველს ასევე შეუძლია ცალმხრივად მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ პროექტის განხორციელება ეკონომიკურად არაეფექტური გახდა შემსყიდველისთვის;

გ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

დ) მიმწოდებელი აჩერებს სამუშაოთა წარმოებას 10 დღეზე უფრო ხანგრძლივი დროით, მაშინ როდესაც ეს შეჩერება არ იყო ნებადადართული შემსყიდველის მიერ;

ე) სამუშაოთა ზედამხედველი განახორციელებს შეტყობინებას, რომ რომელიმე დეფექტის აღმოუფხვრე-ლობა წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით დარღვევას და მიმწოდებელმა ვერ შეძლო ამ დეფექტის გასწორება ზედამხედველის მიერ დასაბუთებულად დადგენილი დროის განმავლობაში;

ვ) საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელი არ წარმოადგენს საჭირო გარანტიებს;

ზ) შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება სამშენებლო სტანდარტებს;

თ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადასინჯვის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ____ წლის ____ ჩათვლით გარდა ხელშეკრულების მე-9 მუხლისა.

14.2. ხელშეკრულების მე-9 მუხლი ძალაშია მთელი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელმოწერილია შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, კანონმდებოლიბის მოთხოვნათა შესაბამისად.

15.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია/დამოწმებულია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი”

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N76 „ბ“
ტელეფონი: +995 32 2919060
მომსახურე ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი“ ცენტრალური ფილიალი
მომსახურე ბანკის კოდი: 220101480, LBRTGE22
ანგარიშის ნომერი: GE77LB0113123325230012
საიდენტიფიკაციო კოდი: 412670097

____

____

„მიმწოდებელი”

____
იურიდიული მისამართი: ____
ტელეფონი: ____
მომსახურე ბანკი: ____
მომსახურე ბანკის კოდი: ____
ანგარიშის ნომერი: ____
საიდენტიფიკაციო კოდი: ____
ელ-ფოსტა: ____

____

____